დანართი N4

მასწავლებლის თანამდებობრივი ინსტრუქცია

1. ზოგადი დებულებანი

1. მასწავლებელი შედის სკოლის პედაგოგიური საბჭოს შემდაგენლობაში და ახორციელებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, “ზოგადი განათლების შესახებ" კანონის თანახმად.
2. მასწავლებელი თვის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, “ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, შინაგანაწესით, ამ ინსტრუქციით, დირექტორის სკოლის ტერიტორიაზე სამოქმედოდ გამოცემული ბრძანებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.
3. მასწავლებელს ნიშნავს და ანთავისუფლებს სკოლის დირექტორი.
4. მასწავლებელი ანგარიშვალდებულია დირექციის, მოსწავლისა და მისი მშობლის (მეურვის) წინაშე.
5. მასწავლებელი ვალდებულია შეასრულოს მორიგეობა მისთვის წინასწარ ცნობილ დღეებში გაკვეთილებსა თუ გაკვეთილებს შორის შესვენებებზე.
6. მასწავლებელი ვალდებულია შეასრულოს დირექციის ცალკეული დავალებები.
7. მასწავლებლის ხელფასი განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

2. მასწავლებლის განათლება

ა) დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს განათლების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
ბ) გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად;
გ) უნდა ჰქონდეს შესაბამისი საგნის მასწავლებლის სერტიფიკატი. (2014 წლიდან)

3. მასწავლებლის უფლებები და მოვალეობები

1. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მასწავლებელი ასრულებს თავის მოვალეობებს ამ ინსტრუქციისა და მოქმედი კანონმდებლობების შესაბამისად

2. მასწავლებელი ვალდებულია:

2.1. სკოლაში გამოცხადდეს გაკვეთილის დაწყებამდე 10 წუთით ადრე და დარჩეს შინაგანაწესით განსაზღვრული სამუშაო დროის შესაბამისად, ყოველდღიური საათობრივი ნორმატივის გათვალისწინებით;
2.2. დაიცვას სკოლის შინაგანაწესი;
2.3. სკოლის დირექციასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე არ დაუშვას სამსახურში დაგვიანებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევები;
2.4. სამუშაო საათების საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში წინასწარ წერილობით აცნობოს სკოლის ადმინისტრციას, დირექციის მიმართებისამებრ შეცვალოს სკოლაში არმყოფი თავისი კოლეგა;
2.5. დაიცვას გაკვეთილების ცხრილისა და მუშაობის გრაფიკი, გაკვეთილებისა და მათ შორის დაწესებული შესვენების ხანგრძლივობა;
2.6. ყოველი გაკვეთილისთვის მოვიდეს მომზადებული, სისტემურად იმაღლებდეს პროფესიონალურ დონეს და ახდენდეს ამის დემონსტრირებას. სწავლის პროცესში ნერგავდეს სწავლებისა და სწავლის ახალ ტექნოლოგიებს. Eეფექტურად იყენებდეს ტექნიკურ საშუალებებს, თვალსჩინო და დიდაქტიკურ მასალებს, რითაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის ეფექტურ ამაღლებას;
2.7. იყოს კომუნიკაბელური, ტაქტიანი მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან ურთიერთობაში არ მიაყენოს მორალური და ფიზიკური შეურაცხყოფა მოსწავლეს. სამუშაო

დროის განმავლობაში კეთილსინდისიერად განახორციელოს თვისი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობანი;

2.8. მოსწავლის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვისას გონივრულ ვადაში განუმარტოს მას შეზღუდვის საფუძველი;

2.9. აღჭურვოს მოსწავლე იმ ცოდნით, დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებით, რაც საჭიროა როგროც სწავლის გასაგრძელებლად, ასევე საზოგადოერივად სასარგებლო საქმიანობაში პრაქტიკული მოღვაწობისთვის;

2.10. ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ინტელექუალური და ფიზიკური ძალების ჰარმონიულ განვითარებას, მოზარდის ცოდნის დონის ამაღლებას; მოამზადოს ისინი კონფერენციებისა და ოლიმპიადებისათვის.

2.11. დაიცვას პედაგოგიური ეთიკის ნორმები.

2.12. დირექციის წინაშე, პერსონალურად აგოს პასუხი მოწავლეთა სწავლებისა და აღზრდისთვის გაწეული მუშაობის ხარისხზე, მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ობიექტურობაზე;

2.13. სამეცნიერო-პედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ სამსახურთან ერთად სისტემურად ეცნობოდს მოსწავლეთა, პედაგოგთა და მოსახლეობის საზოგადოებროვ აზრს, რის საფუძველზც შეიმუშავებს რეკომენდაციებს აღმზრდელობით საქმიანობის მეთოდურად სწორედ წარმართვისათვის, პროგრესულად მოაზროვნე პიროვნების აღზრდისთვის;

2.14. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის მიზნით, ზრუნავდეს მოსწავლეთა მშობლების პედაგოგიზაციისა და აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის;

2.15. უზრუნველყოს მოსწავლის ხშირი და მრავალმხრივი შეფასება, არა მარტო ინფორმაციის ფლობის, არამედ უნარ-ჩვევების, აზროვნების დემონსტრაციის ფორმების, მოსწავლეზე დაკვირვების შედეგად დაგროვილი მონაცემების, ნამუშევრების, პრეზენტაციების, მოსწავლის მიერ თვითშეფასების, ჯგუფური მუშაობის, საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის (აქტიურობა, დავალების შესრულების ხარისხი, შემოქმედებითობა) და სხვა ტიპის აქტივობების მიხედვით;

2.16. გაუფრთხილდეს და ყურადღება მიაქციოს მოსწავლეების მიერ სასკოლო ინვენტარისა და ტექნიკური საშუალების სახელმძღვანელოებითა და წინგთა ფონდის გამოყენებას;

2.17. ყოველი სემესტრისათვის შეადგინოს კალენდარულ-თემატური და საგაკვეთილო გეგმები;

2.18. პასუხისმგებელია ელ-ჟურნალის ყოველდღიურ წარმოებაზე;

2.19. მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი განათლება;

2.20. იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე;

2.21. იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე;

2.22. დაიცვას მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი;

4. დასკვნითი დებულება

1. ინსტრუქცია ამოქმედდეს მისი დამტკიცების დღიდან.
2. მასწავლებლის თანამდებობრივი ინსტრუქციის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.